№ 85. 20 აპრილი, კვირა. 1866—1880 20 აპრილი, კვირა № 85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია
რუსის მეიდანზე, შუშანბის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ რ. ყოთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროება“ - „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ხელისმომწერთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію Дроэба" - „Иверіи"

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს: | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით რიგით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

შემდეგი № 86 „დროებისა“ გამოვა 25 აპრილი, პარასკევს.

ცალკე ნომრები

## „დროებისა“

ისყიდება:

**თფილისში:** შაჟერდოვის საგენტოში (გოლოვინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში) ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ხიდთან, ზუბალოვის სახლებში), აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში (ბულვარზე, მდივანის შენობაში).

**ქუთაისში** ოლანეზოვის მაღაზიაში (ხარაზოვის შენობაში).

ამას გარდა რკინის გზის ყველა სტანციებზე და ვაგონებში—კონდუქტორებთან.

## ტელეგრამები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურგი, 17 აპრილს** „მთავრობის მოამბეში“; სწერია: მთელის კვირის განძავლობაში არავითარი შესანიშნავი ცვლილება არ მომხდარა ხელმწიფე-იმპერატრიცის ავათმყოფობაში.

ხმა დავარდნილა, რომ დაუჭერიათ ის დურგალი, რომელიც სასახლის აფეთქების შემდეგ გაპარული იყო. მისი გვარი შევიჩია.

**ლონდონი, 17 აპრილს.** ინდოეთის ვიცე-კოროლათ დანიშნულია რიპონი; შინაგან საქმეთა მინისტრათ—ჰარკორი; საკოლონიო მინისტრათ—ჰამბერლეი; საიდუმლო ბეჭედის მცველი—არგაილი. დღეს პარლამენტმა იწყო თვისი მოქმედობა.

ტფილისი, 19 აპრილს.

ამას წინად ორიოდე სიტყვა მოგახსენეთ ინგლისის გარეშე პოლიტიკის შესახებ, რომელსაც, რასაკვირველია ცვლილება მოელის, რადგანაც ინგლისის საქმეთა მმართვა ახალ და სხვა მიმართულების კაცების ხელში ჩავარდა. ამის თაობაზედ ნათქვამი იყო, რომ ავსტრიასა და გერმანიას (ე. ი. ოფიციალურს ავსტრიას და გერმანიას) ვერაფრად ეჭაშნიკათ გლადსტონის დასის გამარჯვება. პირიქით რუსეთის გაზეთებში წამ-დაუწუმ ისმოდა საკვირველი სიამოვნება და სიხარული, რომელიც რასაკვირველია დამყარებული იყო არა მაზედ, რომ ლიბერალების ხელში ინგლისის ხალხის ბედის ჩარხი უფრო სასიკეთოდ დატრიალდება, ვიდრე ბიკონსფილდის ხელში: არამედ ეს სიხარული მომეტებულად იმავე გარემოებაზედ იყო დამყარებული, რომელმაც აწარმოვა ავსტრო გერმანიის გულ-ნაკლულობა.

აქამდისინ მომეტებული ნაწილი რუსის გაზეთებისა, როგორც მოგეხსენებათ, თითქმის ყოველს უბედურებას ბიკონსფილდის ქვეშ-ქვეშობას და ეშმაკობას აბრალებდა; ჩვენი თავი-და-თავი დამღუპველი ბიკონსფილდი და მისი დასი არისო. პირიქით ინგლისში არსებობს მეორე დასი, რომელიც სრულიად სხვა გრძნობით არისო აღსავსე რუსეთისადმი. რაკი ინგლისის მმართვას ეს დასი ჩაიგდებსო ხელში, მაშინ რუსეთისა და ინგლისის შორის გულ-წრფელი და მტკიცე მეგობრობა და ნდობა დამყარდებაო, და აწინდელ ქვეშ-ქვეშობას და ეშმაკობას ბოლო მოეღებაო.

ინგლისის ლიბერალებს, მართალია, ეშმაკობას ვერ დასწამებს კაცი და ეჭვი არ არის, რომ გარეშე პოლიტიკის ასპარეზზედ ბიკონსფილდის ქვეშ-ქვეშობა გაქარწყლებული იქმნება. მაგრამ სრულიადი მ ე გ ო ბ რ ო ბ ა და ნ დ ო ბ ა მაინც საეჭვოა.

მართალია, რუსთ-ოსმალოს ომიანობის დროს, როდესაც საომარ დროშაზედ წამოყენებული იყო სლავიანების განთავისუფლება, ჩაგრულთა და ტანჯულთა დაცვა, გლადსტონის გულითადი თანაგრძნობა მიმართული იყო ამ დროშისადმი. ვინც უნდა იყოს ჩაგრული, რა ტომისა და სარწმუნოებისაც უნდა იყოს, გლადსტონის თანაგრძნობა მისდამი უეჭვოა. მაგრამ, რაკი ხალხთა შორის პოლიტიკის ასპარეზზედ წამოდგება სახელმწიფოთა ერთი-ერთმანერთს შორის ცილობა და შურის-ძიება, მაშინ სხვაა; მაშინ საზოგადო თანაგრძნობა ჩაგრულთადმი აქ არაფერშია. ამ შემთხვევაში თანაგრძნობას და მეგობრობას სხვა საბუთი მოსდევს. თუ გლადსტონი არ თანაუგრძნობს ერთს რომელსამე სახელმწიფოს, აქედამ სრულიად ის არ გამოდის, რომ უსათუოდ თანაუგრძნობდეს მეორეს სახელმწიფოს, რომელიც ვერაფერის კეთილის თვალით უყურებს მეორეს.

## ფელეტონი

—

### სააღდგომო საუბარი

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად! გაისმის დღის სადღესასწაულო ღაღადება ტაძრებში, ქუჩებში, მეიდნებში და სახლებში.

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, აღსდგა მკვდრეთით!

ორმოც-და-რვა დღეს გლოვაში, წუხილში, ხორცის მოკვდინებაში ატარებს ხალხი. მაგრამ იმედი ყოვლის განმაცხოველებელი იმედი წინა აქვს, მოგვიახლოვდება სიხარულის დღე, მწუხარების განმარინებელი და დამავიწყებელი.

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!

რაღაც დიდებული, მზის სხივ-შარავანდედის მსგავსი გრძნობა გინათებს გულსა, როდესაც მოისმის ხმა: ქრისტე ჯვარ-ცმული, ვნებული, შეურაცხ-ყოფილი აღსდგა მკვდრეთით!

* * *

მაგონდება ერთი აღდგომა დღე, პატარას შვიდის თუ რვა წლისას ჩამაცვეს წითელი რაღაც აბრეშუმის ფარჩის ახალუხი, მაუდის მომწვანო კაბა, შავი ყალმუხის ქუდი, ყანაოზის შალვარი და შრიალით ეკკლესიაში წამიყვანეს. აქ საყდრის გალავანში ამხანაგები, შკოლის ამხანაგები აგრეთვე სადღესასწაულოთ მოკაზმულები შევიყარენით. აქ ჩვენში ერთი სულ უბრალოთ, ძალიან უბრალოთ, იყო ჩაცმული: მარტო უბრალო ჩითის ახალუხი ეცვა და კარგა ეტყობოდა, ესეც ძველი გადაეკეთებინათ. ყველანი ერთმანეთს ვათვალიერებდით, რასაკვირველია. როდესაც შევხედე იმ ერთს ახალუხას, იმის სახეს შევამცნიე, რომ ჩემი ტანისამოსი მოსწონდა და თითქოს სახე უთხრობდა, ნეტავი შენ მაგისთანა ტანისამოსი გაცვიაო. ეს მგონია ერთი მეპოლოსკეს თუ კალატოზის შვილი იყო, მაგრამ ნეტავი კი ვიცოდე ვინ იყავი, რომ ხსოვნამ მიღალატა და ველარ მომგონებიხარ ჩემის გონებიდამ მოუშორებელო ამხანაგო. რომ იცოდე რა სიმწარის, საშინელი სიმწარის გესლი ჩამაწვეთა შენმა შემოხედვამ, გული ჩამწყვიდა, რომ შენც ჩემისთანა კაბა-საცმელი არ გეცვა. პირველი სიცოცხლის ლახვარი ჩემ გულს მაშინ მოხვდა და ყოველთვის, როდესაც გაისმის მშვენიერი დიდებული, სადღესასწაულო ხმა „ქრისტე აღდგა მკვდრეთით!“ შენი ახალუხი და შენი ცქერა განუშორებლად მაგონდება. მაგრამ დროს განმავალობასთან სარწმუნოება უფრო მიმტკიცებდა, რომ ქრისტე აღდგა მკვდრეთით და აღდგება და მიენიჭება ცხოვრება თვით საფლავების შინათა.

* * *

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!

მრწამს ეს დიდებული ხმა, მშვენიერი სიხარულის ხმა, გამარჯვების ხმა, როდესაც ვხედავ კარ-და-კარ მათხოვარას კონკებში გახვეულს, დამგრეულს ქოხს, მოტიტვლებულ მთებს, გავერანებულ სოფლებს; მრწამს, როდესაც ვხედავ მუშტის და ხლმის ქვეშ მდებარეს, მრწამს როდესაც ვხედავ უმეცარს სწავლით ლატაკს. გონებით და გვამით ყოვლად გაშიშვლებულს გავერანებას რომ ვხედავ განწირულებისა და იმედის ბრძოლაში მაღლდება და გაისმის ტაძრებიდგან გრგვინვა:

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!

და გული და გონება ტვირთ დამძიმებული იღვიძებს კვლავ იმედით და უპასუხებს:

ჭეშმარიტად!

სისხლი ძარღვებში მომატებით იწყებს მუშაობასა. მარჯვენა გიძლიერდება, აზრი ფხიზლდება. შრომა სიხარულად გექცევა, ნუ თუ ვისაც გული აქვს გაუძლებს ხელი არ ამუშაოს, გონება არ ამუშაოს? შრომა, ღვაწლი იმედის ნაყოფია. უშრომელობა ან უიმედობაა ან სულის, გონების გაქსუებაა.

* * *

ამ ფიქრებით გართული დავწექ და დავიძინე. ღმერთო ჩემო, რა სიზმარი ვნახე. რაღაც მოლანდება ზღაპარი იყო სწორეთ ის სიზმარი ვითომც დილა იყო, შინ ვიჯექი და უეცრად მომესმა უცნაური ზარების რეკა; ამ გვარი რეკა, curanti პირველად გავიგონე პეტერბურღში ციხის ეკკლესიის საათის რეკის დროს, შუადღის და შვალამის მთელ გალობას მუზიკის მსგავსად ზარები უკრავს. ზარები მშვენიერის ხმის შეწყობით უკრავდენ „ქრისტე აღდგას“. ეს სიზმარში ისეთ გვარათ მომესმა, რომ ველარ მოვითმინე და გამოველ შინიდამ, გამოვიარე ჩვენი ანჩისხატის ერთი ქუჩა; იმ გალობის სმენითა ისე ვიყავ თავ-ბრუ დასხმული, რომ აღარაფერს არა ვხედავდი სანამ სალაყბოზე (მეზარხოსის წინ მეიდანზე) არ გამოვედი.

* * *

რა ვნახე! ის პატარა სალაყბო დიდ ვეება ვაკე ვიდნათ გადაქცეულ იყო, სულ მარმარილოს ქვით დაფენილი, შუაში ვეება შადრევნით, კუთხეებში კიდევ შადრევნები. დავაღე პირი. რავქნა სადა ვარ, სიზმარში ვარ თუ ცხადათა ვხედავ მეთქი, ძალიან ეჭვში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ამბები

—

გაზეთს „ობზორს“ აცნობებენ, რომ ყართაფას, ყარაიაზში, მრავალი კალია გამოჩეკილა კვერცხებიდამ. კორრესპონდენტის სიტყვით არვინ არაფერთარ საშუალებას არ ხმარობს მისს გასაწყვეტად. ყაზახის მაზრის უფროსს კი სადაც აგრეთვე გამოჩეკილა კალია, 1,000 ურემი თივა დაუმზადებია მისს დასაწვავად.

* * *

„კავკაზის“ კორრესპონდენტის სიტყვით, თვითონ ხალხი არც ამ ყაზახის მაზრაში ცდილობს კალიის ამოწყვეტას, თუმც მმართებლობისაგან თითო ფუთს გაწყვეტილ კალიაზე ხუთ-ხუთი შაურია დანიშნული. თუ ვინმე კალიის კვერცხებს ჰკრეფს, ისიც იმიტომ, რომ ეშინია ასე რომ არ მოიქცე მმართებლობა ფქვილს არ მასესხებსო. თუმც ასე გულ-გრილად ეკიდება ხალხი თავის მძვინვარე მტრის ამოწყვეტის საქმეს, მაგრამ 500 ფუთი კვერცხი მაინც მოუკრეფიათ!

კორრესპონდენტი ამბობს, თუ ხალხმა კვლავაც ასე გულ-არეულობულად დაუწყო ამ საქმეს ცქერაო, შეიძლება დაბრკოლოს ენერგია და მოღვაწეობა მაზრის კომიტეტისაო, რომელმაც უკვე დაამზადა ცოცხები, ნიჩბები, საწვავი მასალა, ნავთი და სხვა იარაღები მძვინვარე მტარვლის ამოსაწყვეტათო.

* * *

სარწმუნო პირები გვაცნობებენ კიდევ შემდეგ ცნობებს იმ გარემოებათა შესახებ, რომელნიც დაჰყვნენ ალექსანდროვის საოსტატო სემინარიის შაგირდის რ. ლოლობერიძის გარდაცვალებას, ანუ უკეთ ვსთქვათ, ამ სემინარიის მეუფროსეთაგან დაუდევნელობის წყალობით სიკვდილს:

როცა ერთმა ზახაროვის მეუფროსეთაგანმა ჰკითხა ამ ვაჟ-ბატონს თუ რად დაუდგეს იმ რიგ ავად-მყოფს იმისთანა სტოლი, რომელიც სნეულის ხელის კვრისაგან წაიქცა (იხილე „დროება“ № 83) მან მიუგო: „ამ ნაირი ფორმის სტოლები თქვენო . . . . ავ ყველა მასე სუსტნი არიან!“

მიცვალებულის დასაფლავების მეორე დღეს ერთი ნათესავთაგანი მისულა სადაც ჯერ არს და უთხოვნია ექიმების პროტოკოლები გასაგებად თუ რა ავათ-მყოფობა იყო მიზეზი მიცვალებისა, მაგრამ პასუხად ლანძღვის მეტი ვერაფერი მიუღია. „სასამართლოს მიჰმართეთ და მისს საშუალებით მიიღებთ პროტოკოლებს, თორემ ისე ხმასაც არ გაგცემთო.“ ასე დაუსრულებიათ თავიანთი უზრდელური პასუხი ღირსეულ ვაჟ-ბატონებს.

სიტყვაზე ვთქვათ, ჩვენ გვარწმუნებენ და დასაჯერებელიც არის, რომ ორს ექიმს შეუმოწმებიათ მიცვალებული (გვამი გაუჭრიათ) და ორივეს ჩვენება ერთი-მეორეს სრულიად ეწინააღმდეგებაო: ერთი ამბობს ტვინის ანთება იყოო, და მეორე ფილტვებისაო.

სასურველია, რომ მიცვალებულის ნათესავებმა სასამართლომდინ მიიყვანონ ეს საქმე და მით ერთხელ და საუკუნოთ მოსპონ ამ ფერი სამარცხვინო შემთხვევა, სულით და გულით აღმაშფოთებელი ყოველი კაცად-კაცისა, რომ მომავალში ადგილი არ ჰქონდეს სასწავლებლებში ამ რიგ საძაგლობას, . . . . . . . .

* * *

17 აპრილს მიიცვალა ხანგრძლივის ავათ-მყოფობის შემდეგ ტფილისელი სახელ-განთქმული მდიდარი ი. მ. მირზოევი.

* * *

გაზეთის „კავკაზის“ სიტყვით ელისავეტოპოლის გუბერნიაში მრავალი კალია გაჩენილა, როგორც თვითონ ქ. ელისავეტოპოლს ისე ელისავეტოპოლისა, ყაზახისა, ჯევანშირისა და შუშის მაზრაში. სწრაფად მოუკიდნიათ თურმე ხელი კალიის გასაწყვეტათ. ის კალია კი, რომელიც ჰაჯი-დოსტაფურის საზოგადოების სოფლებში იყო აღმოჩენილი კიდეც გაუწყვეტიათ.

* * *

ზემო-ქართლიდამ გვწერენ, რომ 16-ს აპრილს შუადღის შემდეგ საშინელი ჭექა-ქუხილი ყოფილა და უშველებელი სეტყვაც მოსულა. კორრესპონდენტი ამბობს: „ისეთი ხშირი და ძალოვანი სეტყვა იყო, რომ ჩვენკენ რო კალია ყოფილიყო მთლად უკანასკნელამდე გაანადგურებდა. ღმერთმა ჰქნას ამისთანა სეტყვა იმ საქართველოს ადგილებში მოვიდეს, სადაც კალია ბუდობს და გამოჩეკას აპირობს. თუმცა აყვავებული ხილის ხეები მთლად წახდება, იქნება ვაზიც მთლად წაახდინოს, მაგრამ ჩვენი და ჩვენ საწყალ პირუტყვთ საკვები ხომ გადაგვერჩება“.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის ახლო-მახლო, მაგალითებრ, სოფ. თხინვალს და დიღომში, კალია გამოჩეკილა.

* * *

შემდეგი წერილი მივიღეთ ოზურგეთიდამ:

„ტელეგრაფი, უთუოდ, მოგიტანდათ ამბავს, რომ ოზურგეთის ქალაქი გადაიწვა შაბათ ღამეს. მთელი ბაზარი შთანთქა ცეცხლმა; არც ერთი ორმოცი დუქანი არ დარჩენილა. ამბობენ — ნახევარ მილიონზედ მეტი ზარალი მოიტანაო, ამ უბედურმა შემთხვევამ. ამას გარდა დაიწვა ადრინდელი გურიელების სასახლე, რო-

---

შაველი. მივიხედ-მოვიხედე; ხალხი მიდის და მოდის. მაგრამ სულ რაღაც მსუბუქი, ლამაზი ტანთსაცმელი აცვიათ, თითქოს ქართული კაბა იყოსო და ხევსურულსაცა გავს. ვერ გავბედე ხმა გამეცა. დავათვალიერე აგება პოლიციის დესეტნიკი ვნახო და ვკითხო მეთქი ეს როდის გაუკეთებიათ. ბოლოს ხევსურულათ რაღაცა უცნაურად ჩაცმული დადიოდა. პირ დაღებული და გაშეშებულსავით რომ დამინახა, მომიახლოვდა ზრდილობით მკითხა: ხომ არა გნებავთ რაო?

ძალიან გამიკვირდა ამისთანა თავაზი.

— დესეტნიკი ხომ არა ხართ მეთქი; ვკითხე.

— დღეის მომრიგე დარაჯი გახლავარო.

ვკითხე ამ სალაყბოს ამბავი: ეს როდის დაუფენიათ მარმარილოს ქვითა?

— რა მოგახსენოთ, მამიჩემის პაპის-პაპაც მგონია, არ მოსწრებია, თუ გნებავთ.

სულ ავირიე პაპის-პაპა რომ შევიტყე.

— თუ გნებავთ აქ ერთ სვეტზე ნახავთ, მოხსენებულია წელიწადი. ეს სალაყბო ერთ დროს სახალხო შესაკრეფი ადგილი ყოფილა. სალამობით ამ დრეფნებში (მანიშნა ბერძნულის პორტიკების მსგავსი, მშვენიერი სვეტებანი სულ მარმარილოსი) ახლაც იყრება ხალხი და დიდი მუსაიფი აქვთ სამეცნიერო და სამოქალაქო საქმეებზე, მასხრობენ კიდეც, სასმელებს სმენ და ერთის სიტყვით დროს ატარებენ.

ერთ მხარეს დიდი მშვენიერი ფერადის მარმარილოს და სიონის ყვითელის, სვეტი ცხოვლის მწვანე ქვის მსგავსი ქვით აგებული შენობა ვნახე და ვკითხე.

ეს მუზეუმია, უძვირფასესი საუნჯეა მანდ ჩვენის ისტორიულის ცხოვრებისა. როგორცა გხედავთ თქვენ სტუმარი უნდა ბრძანდებოდეთ. ხოშ გელდი ბატონო სტუმარო, მიბრძანდით, ბევრს საინტერესო რასმე ნახავთ. შესვლა ერთი ფულია. მე ძალიან ხშირად დავდივარ აქაურ ბიბლიოთეკაში საკითხავად.

მადლობა უთხარი რჩევისათვის და ვთხოვე შუა ბაზრის გზა ეჩვენებინა, რაგანაც დაღონებული გზასცა ვეღარ ვპოვებდი.

* * *

გამაკვირვა ამ დესეტნიკის ლაპარაკმა, ბიბლიოთეკაში დავდივარო, დღეის მორიგე დარაჯი ვარო. მაშ ჩანს რიგით ყველას ვალათა სდებიათ დესეტნიკობა მეთქი. ვინ იცის რა განათლებული კაცს ველაპარაკე და რატო კარგა არ გამოველაპარაკე მეთქი, ვნანობ ჩემს გულში.

ამოვიარე შუა ბაზარში, მაგრამ რა შუა ბაზარი, სად შუა ბაზარი. მარტო სახელი შერჩენოდა. ასეთი გაგანიერებულ იყო და გასწორებულ იყო, რომ შუაში ორი პირი რელსები ეწყო და ნაპირებში ცხენოსნები და ქვევითა ხალხი დადიოდა, რაღაცა ეფინა ქვის ნაცვლად, რაკრაკი გაჰქონდა; მაღაზიები მარმარილოსი და წინ სულ ვრძელი დერეფანი. უბრალო ბალის ხის თაფხების ნაცვლად ბროლის თაფხები ედგათ და ორიოდ ძალიან მდიდარ ბაყალ ნუგბარსავით თითო ჩვენებური თაბახი დაედგა ძვირფასი ანანასებით. იშვიათი რამ გამხდარ იყო ხის თაბახი და არხეოლოგები დიდის გაფაციცებითა შინჯავდნენ. საკვირველი სიეფე იყო ყოველგვარი ხილისა.

* * *

გავიარე პატარა, ერთ მაღაზიის წინ ხალხი შეყრილიყო და საშინლად ჰკიცხავდნენ ერთს მუშტარს რომელსაც ვაჭრისთვის ეთქვა: ძვირათ აფასებთო. მაჭარს დიდ შეურაცხყოფად ჩაეთვალა ეს სიტყვა. ხალხი ამბობდა, ამისთანა შეურაცხყოფა კაცის კვლა არისო, სახელის გატეხა არის პატიოსნებისაო; ამისთანა დანაშაულობა ორმოც-და-ათი წელიწადი იქნება არავის გაეგონოს ჩვენს ქალაქშიო. წავიდნენ მსაჯულთან საჩივლელად, მეც გავყევი. შევიდნენ ერთს მარმარილოს დიდებულს დაბაზში, ჩვენებურძველებურად აშენებულში. დიდ-ძალი ხალხი მოატყდა. გზაზე მუშტარი სწუხდა და მალ-მალ ბოდიშსა სთხოვდა ვაჭარსა, მსაჯულთან მისვლა დიდ სირცხვილად და თავის გაუპატივრებად მიაჩნდა. ხალხი დასხდა, მსაჯულმა გამოკითხვის შემდეგ დაადო იმოდენი დიდი ჯარიმა რომ, როგორც ამბობდნენ ამოდენ ჯარიმას არავინ არ მოსწრებიაო. მუშტარმა აღიარა თავისი ბრალი, მაგრამ სთქვა მე ამ ვაჭრის შეურაცხყოფა ფიქრადაც არ მომსვლიაო.

— დღეს საღამოს სალაყბოზე სახალხოდ ამ პატიოსან ვაჭარს ბოდიში უნდა მოსთხოვოთ და წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: მე ამ კაცის შეურაცყოფა ფიქრადაც არ მქონია და მინდოდა მეთქვა, რომ ის საქონელი ჩემთვის ძვირია, იაფის ყიდვა მსურდა-თქო. ეს ის დრო არ გახლავს, ბატონო ბრალდებულო, როდესაც ცილის წამებასაც არავინ დასდევდა, კაცის კვლაც რომ შეეწამათ, და უბრალო ტყუილი ლაპარაკის ჯავრი ჩვენ პაპის-პაპებსაც სიკვდილის მიზეზად უხდებოდათ.

ღმერთო ჩემო, რა თემს ჩამოვარდი მეთქი, რა ადათი შემოსულა, რა ზნეობითი ცვლილება მომხდარა, რომ უბრალო სიტყვა კაცის კვლად ითვლება.

კაცის კვლისათვის, რას ახდევინებენ-მეთქი? ერთსა ვკითხე.

— რაო? იქვენ საიქიოდამ ხომ არ მოსულხართო? კაცის-კვლა, კაცის ცეცხლში დაწვა, აგერ ორასი წელიწადი იქნება არ გაგონილაო.

ჩავიწყვიტე ხმა.

* * *

გარეთ-უბანს თამამშოვის ქარვასლის გარშემო დიდი მეიდანი ვნახე, ტრიალი მინდვრის ოდენა. გარს სულ მშვენიერთა უმშვენიერესი მარმარილოს და სხვა ძვირ-ფასი ქვების შენობები ვნახე. ქარვასლის ადგილს დიდი თეატრი იდგა.

თვალი ველარაფერს ძველს ველარ ხედავდა. ავდექი ძველ ქალაქში მივლა-მოვლა მოვინდომე. მოვიარე, მაგრამ აგურის შენობა სადღა ჩანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელშიდაც ეხლა ადგილობრივი რუსის ჯარის კამანდა ბინადრობდა.

მე ბევრს ადგილს დავსწრებივარ ამ ნაირს შემთხვევას, მაგრამ უნდა ვაღვიარო, არსად და არას დროს ამ ნაირი უთაურობა, გულ-გრილობა და ადამიანის სიყვარულის ნაკლებობა—არ მინახავს... ცეცხლი გაჩნდა მეათე საათზედ; ოთხი, თუ ხუთი დუქანი არ იყო ჯერ დამწვარი, მე რომ ჩაველ ბაზარში. რამდენიმე წამის შემდეგ გაჩნდა ადგილობრივ კამანდის უფროსიც უ. ქოპაძე ერთის წილით თავის ჯარისა. იმან მაშინვე უბრძანა სალდათებს, რომ დუქნის სახურავი გადაეძროთ და ამით მოესპო ცეცხლისთვის საშვალება დუქნიდამ დუქანზედ გადასვლისა. რასაკვირველია, ეს ფრიად გონიერი განკარგულება იყო და რომ შესრულებულიყო ბრძანება უ. ადგილობრივის კამანდის უფროსისა, მაშინ ათი, ან თორმეტი დუქნის მეტი აღარ დაიწვებოდა. მაგრამ, სამწუხაროთ, შვიდმა თუ რვა კაცმა, რომელნიც სახურავებზედ ავიდენ დიდი ვერაფერი გააწყვეს-რა, რადგანაც არავითარი იარაღი, რომლითაც გადაიძრობოდა ყავარი იმათ არა ჰქონდათ... დანარჩენი სალდათები კი გაიბნენ... შვიდჯერ, თუ რვაჯერ მოკრიბა გამოცდილმა მხედარმა თავისი ჯარის კაცები, მიაყენა საქმეს, მაგრამ მოიბრუნებდა თუ არა პირს, რომ სხვაგან რამე განკარგულება მოეხდინა, ეს წყობილი ჯარი ისევ გაიფანტგამოიფანტებოდა... ამასობაში ცეცხლი კი ძლიერდებოდა, იწვებოდა სახლი სახლზედ; ეკარგებოდა საწყალ ხალხს უკანასკნელი ცხოვრების იმედი, იღუპებოდა ასი და ორასი ოჯახი და მშველელი არსაიდამ სჩანდა. იქ, სადაც საჭირო იყო შველა; იქ, სადაც შესაძლებელი იყო ცეცხლის მოსპობა ორი-სამი დუქნის გამორღვევით, სადაც ასი კაცი კმაროდა, მე მთელი ორი საათის განმავალობაში არავინ ისეთი არ მინახავს, ვისიც პირ-და-პირი მოვალეობა იყო დასწრებოდა და თავი გაერთვა, გარდა უ. ქოპაძისა, რომელიც ზევით მოვიხსენე. უკაცრავად, იყო პოლიციის წარმომადგენელიც ერთი პრისტავი მოგიტიძე, რომელიც ძალიანს ფაცურობდა, მაგრამ ვერაფერს არიგებდა კი... მარტო ერთი პრისტავი რას გაარიგებდა?

ოზურგეთის ხალხის ბედ-იღბალზედ ვის რა დავა აქვს?.. ვინ შეიტყობს ამათ გაჭირვებას? ასი, ორასი ოჯახი, რომ სულიდამ ხორცამდის გაიცალა და აღდგომას, ამ სამხიარულო დღეს, თვალ-ცრემლიანი შეეგებება—ეს განა ისეთი საგანია, რომ საზოგადო ყურადღების ღირსი იყოს?!. ჭეშმარიტად ჩვენ საზოგადობრივ დაწყობილობას რომ დაუკვირდები კაცი, რომ ნახავ, როგორ გაქვავებიათ გული ამ კაცებს, როგორ დავიწყებიათ ყოველი უწმიდესი გრძნობა და მოვალეობა და საკუთარი მუცლის, თავის სხეულის მონათ გამხდარან—ლამის გაგიჟდე!..

# უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** საფრანგეთის სენატის სხდომის დროს (11 აპრილს) კარმიონ ლატურმა იკითხა: რად დააბრუნეს ტერრიტორიალური მხედრობის აფიცრები, და შემდეგ გაჰკიცხა სამხედრო მინისტრი, რადგანც მას მისი აზრით მხედრობაში პოლიტიკა შეჰყავს. სამხედრო მინისტრმა უპასუხა, რომ სახელმწიფო რჩევის წესდებულების ძალით მას სრული უფლება აქვს ასე მოიქცეს. „აფიცრები იმიტომ დავაბრუნე“—სთქვა მინისტრმა, „რომ ბევრი მათგანი გამოუდეგარნი იყვნენ და ამოსარჩევ სხდომებში დადიოდნენ. მე ვერ მოვითმენ, რომ მხედრობაში პოლიტიკა ჰსუფევდეს და ან იმისთანა აფიცრები მსახურებდენ, რომელნიც მმართებლობის წინააღმდეგნი იყვნენ“.

ამავე სხდომაში ბოდელლმა მკაცრად განიხილა ალჟირის მმართველობა და სთქვა მისი ცუდი მდგომარეობა ყოველ-გვარ ბოროტ-მოქმედებისაგან წარმოსდგებაო. ბოლოს მან ითხოვა, რომ დაინიშნოს საპარლამენტო გამოძიება. შინაგან საქმეთა მინისტრმა სთქვა, რომ თანახმა ვარ ამ გამოძიების დანიშვნაზეო, მაგრამ მასთანავე მე მომწონს ალბერ-გრევის მმართველობა, რომელსაც ჩემი პასუხის-გებით დავიფარავო. ალბერ გრევი ამტკიცებდა, რომ ალჟირიის მდგომარეობა მშვენიერიაო. სამოქალაქობრივო მმართველობის გავრცელებას ალჟირიაში მშვენიერი ნაყოფი მოაქვსო. პალატი კმაყოფილი დარჩა მმართებლობისაგან ალჟირის მდგომარეობის ახსნაზედ და გამოაცხადა თავისი რწმენა, რომ მხოლოდ სამოქალაქობრივო მმართველობას შეუძლიაო ალჟირის კეთილ-მდგომარეობის წარმატებაში შეყვანაო.

—

გაზეთის **„Gaulois“** სიტყვით, ვითომც სარწმუნო წყაროებიდამ აცნობებდენ მას შემდეგს: რამდენიმე ბონოპარტისტები წინადადებას შეიტანებენ პარლამენტში, რომ მოწვეულ იქმნას კონგრესი კონსტიტუციის გადასახედველად. უნდა გადაიხედოს მხოლოდ ის მუხლი, რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტის ამორჩევას ეხება. მათი სურვილია, რომ ეს მუხლი ასე იქმნეს შეცვლილი: რესპუბლიკის პრეზიდენტი შეერ-

---

სულ მარმარილოს და სხვა ამ გვარის ქვისა იყო.

ღარიბი ხალხი სადა სდგას-მეთქი; ვკითხე ერთს თითქოს მცნობსა.

— ღარიბი რას ჰქვიანო? ყველა შეძლებულია, ყველას საცხოვრებელი აქვს.

ღმერთო ჩემო, მაშ გაჭირება რაშიმე არავის არ ადგება?

— სნეულების გარეთ არაფერშიო. მაგრამ სნეულებაც ჩვენში იშვიათია. როცა ხალხი ყოველისფრით სრულია, ავათმყოფობას, სნეულებას და თვით სიბერეს ძალა აღარა აქვსო.

***

ავედი ნარიყალის ციხეში. მარტო იმის აგურის კედლები დარჩენილიყო, თორემ შიგ მარმარილოს შენობები იყო, ზოგი მუზეუმიაო, ზოგი რა და რა. ერთი მაღლისაგან უმაღლესი ტაძარი იყო. წმინდა გიორგის ტაძარის ადგილას არის აშენებულიო. ეს აშენებულია სახსოვრად ქართველ 3000 გმირისა, რომელთაც აღა-მაჰმადხანთან ბრძოლის დროს 1795 წ. თავი დასდვეს. აქვე იყო მოხუცი მეფის ერეკლე მეორის ადრიანტი (სტატუა). ამ ტაძრის საშინელ მაღალ სამრეკლოში იყო გამართული ის ზარები, რომელიც „ქრისტე აღსდგას“ გალობას რეკავდა და რომელმაც სიზმარში შინითგან გამომიყვანა.

გავშინჯე ნარიყალის კედლები, მაგრამ, აი საკვირველება! ზემოდამ კედლისთვის მინა ვაილესნათ, თითქოს გაჯით იყოსო.

ეს რა არის მეთქი, მორიგე მოდარაჯესა ვკითხე.

— შესანახავათ არხეოლოგიისათვის და სახსოვრად დასარჩენათაო.

მაშ აქ ციხე საჭირო აღარ არის, იქნება მტერი შემოვიდეს მეთქი.

— როგორ თუ მტერიო, ომები დიდი ხანია ქვეყანაზე აღარა ყოფილა. ყველა ხალხები ძმურათა სცხოვრებენ. მტერი კაცისა მხოლოდ ერთიღა დარჩა, უცოდინარობა ბუნების კანონებისა და უცოდინარობა ბუნების ძალის გამოყენებისა. ხალხებს შუა თუ საბაასო რამ არის, ერთმანეთთან მოლაპარაკებით ათავებენ.

ვიშ რა ცხოვრება არის მეთქი, ვფიქრობ სიზმარში.

***

ვნახოთ ვითომც უეცრად საქართველოს უნივერსიტეტში ვარ. პროფესორი ქართულის ლიტერატურისა და სიტყვიერებისა ლექციას კითხულობს მეცხრამეტე საუკუნისას.

„რა ღარიბი ლიტერატურა გვქონდა, რა საცოდავი მწერლები გვყვანდნენ! ესენი ჩვენ ისე გვგვანდნენ, როგორც მუშა ჯინჭველა ლომსა, ნადირი მეფესა“.

პროფესორმა კიდევ ბევრი ილაპარაკა, მე მოვკვდი ჯავრით, რომ ანჩხატელი ფელეტონისტი არ ახსენა. რომ გაათავა და გამოვიდა, გზაზე მსმენელები ელაპარაკებოდნენ, მეც იმათში გავერიე და ვკითხე:

ნუ თუ აგრე შეიძლება მეცხრამეტე საუკუნის მოხსენება მეთქი. სულ რო არა იყოს რა, მარტო ერთს მაინც მოიხსენებდით, პუბლიცისტს ნიკოლაძესა.

— ვისა? ისეთის წარბის შეჭმუხვნით და თვალის ბრეცით მკითხა, რომ თითქოს უნდა თქვასო ეგ ვინ არისო.

***

საღამოს ვითამც თეატრში დავრბოდი. ჯერ ვიყავი დრამმატიულ წარმოდგენაზე, თამაშობდნენ საკვირველად ქართულ თარგმანს შექსპირის „ოტელლოსა.“ ამბობდნენ, რომ ოტელლოს როლის ამსრულებელი, ვიღაც ი—ძე, ოლრიჯსა სჯობსო ამ აზრს და ძველი წიგნების და რეცენზიებით ამტკიცებდნენ.

მასუკან ვიყავ კომიკურ თეატრში, აქ ჩვენი აბაშიძე მაგონდა. მაგრამ სად აბაშიძე და სად ეს მოთამაშენი. შემდეგ ქართულ ოპერაში წაველ, მაგრამ რა ხმები გავიგონე, ქალცოლარიც გამაიწყდა და ტამბერლიკიცა. ოპერას ერქვა „რუსუდან,“ გამოყვანილი იყო თამარ-მეფის ქალი.

***

როგორც სიზმრისა მოგეხსენებათ ბოლოს უეცრად სოფელში ვარ. რა ყანები, რა ვენახები ვნახე! ყანას ასეთი თავ-თავი ესხა თითო, ბადრიჯნის ოდენა. ხნავდნენ მაშინებითა, ეზიდებოდნენ პატარა რელსებზე მთელის მინდვრებიდგან.

სახლები გლეხებისა ქალაქელებისას არ ჩამოუვარდებოდა. სულ ხალხი თეთრ-წითლად ლაქლაქებდა, ტანისამოსი ქალაქელებსავით ეცვათ შკოლები და თეატრი ჰქონდათ, რომელშიაც თვითონვე თამაშობდნენ, თვითონვე ასწავლიდნენ და სწავლითაც ქალაქელებს არ ჩამოუვარდებოდნენ. ეს რო ვნახე ვკითხე ერთ გლეხ-კაცსა: ბედნიერები ხართ-მეთქი, ღარიბი არავინ არის თქვენში-მეთქი?

— ღარიბი რას მიქვიანო. მომწონს და სოფელში იმიტომ ვცხოვრებო. ისე იწყინა როგორც ქალაქელმა. თურმე ესენიც ქალაქელებსავითა ცხოვრებდნენ; როცა უნდოდათ ხან ქალაქში იდგნენ, ხან სოფელში იდგნენ. თურმე ყველა სოფლებიც ასე ცხოვრებდნენ. ეს სოფელი ყველაზე თურმე პატარა იყო.

ღმერთო ჩემო, რა თემს ჩამოვარდი-მეთქი, ვკითხე ჩემ სოფლელსა.

— საქართველოში ხარო. აბა მიიხედ-მოიხედე, ადგილი არ გინახავსო და ან ჩემი ენა არ გეყურებაო.

მართლა ენა მეყურებოდა, მთა და მინდორი ისევ ის იყო, მაგრამ შიშველა მთებზე ტყეები მოეშენებინათ, მინდვრები საკვირვლად შეემუშავებინათ და წყლებზე ნავები დაცურავდა.

***

გამეღვიძა, განჰქრა სიზმარი, გავახილე თვალები. სად რა იყო? მაგრამ მომესმა დიდებული ხმა:

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!

ანჩხატელი.

თებულ პალატების მაგიერ, როგორც ახლა არის, საყოველთაო ხმის მიცემით უნდა ამოირჩევოდეს.

—

სახელმწიფო რჩევამ სიგელით აღუკრძალა ეპისკოპოსებს, რომ ამიერიდამ არ დაურთონ ოფიციალურს წერილებში თავიანთ ხარისხებს „მონსენიორ“-ის წოდება, რომელიც სრულიად მათ არ ეკუთვნისთ.

—

ავსტრი-ვენგრიის მმართებლობამ გადაწყვიტა სამხედრო საზღვრის ხორვატიასთან შეერთება. ადგილობრივნი მოხელენი, რომელნიც სერბიის ხალხოსნობას ეკუთვნიან ბოსნიაში უნდა გადიყვანონ. ამ პროვინციის საქმეების საზოგადო მმართვისათვის დაინიშნება საერთო იმპერიის სამინისტროსთან საგანგებო „ბოსნიის დეპარტამენტი“, რომელიც ამ პროვინციისავე საუკეთესო მოხელეთაგან უნდა შესდგეს.

—

ამ დღეებში საფრანგეთის მმართებლობამ პარიჟში სახელმწიფოდამ განდევნა რამდენიმე ნემცები სოციალისტები, რომლებიც, „France“-ის სიტყვით მხოლოდ უსახლ-კარო და ულუკმა-პურო მოხეტიალენი იყვნენ. გაზეთის აზრით პოლიცია გონიერად მოიქცა მათ შესახებ. მაგრამ იმ სოციალისტებს მშველელად ამოუჩნდა ადვოკატი ენგელგარდტი, რომელიც, მოგეხსენებათ, წინად ზარტმანს იცავდა საქმეზე, რომ ენგელგარდტს ამ შემთხვევაშიაც იმისთანა გამარჯვება ხვდეს, როგორც ზარტმანის საქმეში.

# განცხადებანი

## თფ. გუბ. თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან

ზედამხედველი კომიტეტი თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა, ბანკის წესდების § 83 ძალითა, სთხოვს უფალთ დამფუძნებელთა ამა ბანკისა, რომ მობრძანდნენ ჩვეულებრივ კრებაში ოც-და-ათს (30) აპრილს, 10 საათზე დილით, იმ სახლში, სადაც ახლა ბანკია.

საგნები განხილვისა

1) განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშისა 1879 წლისა.

2) დანიშვნა იმ ფულებისა, რომელიც ბანკის სარგებლობიდგან არის გადადებული საზოგადო საჭიროებისათვის.

3) ამორჩევა ერთის წევრისა ბანკის მმართველობის რიგით თავადის დ. ი. აფხაზოვის მაგიერათ.

(7—4)

გამგებელი კომიტეტი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის ამით სთხოვს წევრთ „საზოგადოებისას“ მობძანდნენ საზოგადო კრებაზედ, რომელიც იქმნება 26 აპრილს, დილის ათ საათზედ. თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში. მოლაპარაკება იქმნება შემდეგ საგნებზედ:

1) წარსულის წლის ანგარიში.
2) კომიტეტის წევრების ამორჩევა.
3) წესდების რამდენსამე მუხლის შეცვლა.

(3—3)



გამოვიდა და ისყიდება.

## ყარამანიანი

მეცამეტე კარი

ისყიდება მელიქიშვილის სტამბაში სოლოლაკზე და აგრეთვე წიგნის მაღაზიებში.

ფასი ორი აბაზი

(5—3)

## წიგნის მაღაზია ქუთაისში

რომელიც პ. ფ. ზერარდის უჭირავს, აცნობებს ბ.ბ. ავტორებსა და თფილისში წიგნებისა და ბროშურების გამომცემლებს, რომ ეს მაღაზია იღებს კამისიით ყოველგვარ წიგნებს გასასყიდლად იმ პირობით, რა პირობაზედაც მაღაზია და გამომცემლები მორიგდებიან

(3—2)

უოვლად-უსამღვდელოესი ეგზარხოსი იოანიკის განკარგულებით და კომიტეტის კანონების ძალით, შესახებ ეპარხიის ქალების სასწავლებლის გახსნაზედ ქ. თბილისში, სოვეტი ამავე სასწავლებლისა გამოუცხადებს საქართველოს ეპარხიის სამღვდელოებას, რომ ქალების მიღება სასწავლებელში დანიშნულია შემდეგის $188^1/_2$ სწავლის წელში, 25 აგვისტოდგან ვიდრე 5 სექტემბრამდის.

(3—3)

გამოვიდა და ისყიდება

## უმანკო პატარძალი

კომედია ალალო თუთაევისა.

თფილისში—ვართანოვის, ზრიქუროვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და იაგორ ფირალოვის ქურქლეულის მაღაზიაში. ბ ა თ უ მ შ ი—სტ. დავიდოვთან; ფ ო თ შ ი—ნიკ. ჯიჯიხიასთან; ს ა მ ე გ რ ე ლ ო შ ი—იორდანე სიხარულიძესთან; ქ უ თ ა ი ს შ ი—იოსებ მ. მურადოვის წიგნის მაღაზიაში; გ ო რ შ ი—ზაქარია დონდაროვთან; თ ე ლ ა ვ შ ი—მასწ. ქრისტეფორე ზარაფოვთან; ს ი ღ ნ ა ღ შ ი—მელქო შლამოვის მაღაზიაში და ც ხ ი ნ ვ ა ლ შ ი— სუდის პრისტ. იოსებ ციციანოვთან; ალექსანდრაპოლს ალექსანდრე ტერ-აკოფოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე ავტორის კომედიები: „ცოლი ვიტირო თუ ფული?“ და „მული რძალი და მაზენიკები“

(10—2)

იყიდება არწრუნის ქარვასლაში ი ნ გ ლ ი ს ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი: პალტო 12 მანეთიდამ 24-მდინ, მთელი წყვილი ტანისამოსი 5-დამ 25-მდინ; ტრიკო, ბუმაზეია და პარუსინა ახლა 75 კაპ. არშინა და დრაპი 2 მანეთიდამ; პოდნოსები, გასაღებები 10 კაპ., წყლის დასაწმენდი ქვები 4—40 მან., თოფები უკანიდამ გასატენი 35 მანეთი და მეტი; ჩულქები და წინდები 8 მან., უნაგირები—25 მანეთი და მეტი, 25,000 გირვანქა ჩაი პირ-და-პირ ქიახტიდამ 1 მან. და 10 კაპ. და საუკეთესო 2 მან. გირვანქა, დიდძალი კრავატები 5 მანეთიდამ 75 მანეთამდინ; საუკეთესო ხერესი 1 მან. 40 კაპ., შამპანის ღვინო—3 მან. ბოთლი და სხვ.

(25—17)




მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული წამალი ნაოფლარისა,




რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,

## გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაქის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის ვ. კარპინსკის აფთიაქში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35.

დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავაში 50 კაპ. ღირს, პატარა—30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგაპარონ.

ვ. კარპინსკი.

(25—5)

ახლანდელ დიდს

## გამოფენის

დროს,

ოლეოგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოსახურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე; შროთქები მოსაფხეკებითურთ თითო 75 კ.; შეკვეთილია შეფფილდში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყილ. ბუდეებით ღირს 4 მან.; შეფფილდის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. ჩაიჩაკები ბრიტანიის მეტალისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწყურვალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი 1 მ. 40 კ. ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(40—6)

## პატენტიანი შჩოტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ დუჟინი; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—3)

მაქვს პატივი ვაცნობო თფილისის პატივ-ცემულ საზოგადოებას, რომ სარქის განჯელოვის ღვინის სარდაფში, ერევნის მეიდანზე თ. არღუთინსკის სახლებში, თამამშევის ქარვასლის პირ-და-პირ, ისყიდება ნაკლებ ფასათ ნამდვილი კახური ღვინო თავის საკუთარ მამულისაგან.

ფასი თითო ბოთლისა სამი შაურიდამ ვიდრე მანეთამდინ.

სარქის განჯელოვი.

6—3)

## კახური ღვინის

სარდაფი ბალდასარ ბალდოევისა (ბოლოვინის პროსპექტზე, შიოევის სახლი) სადღესასწაულოთ მოტანილია სხვა-და-სხვა ნამდვილი კახური ღვინოები კახეთის მებატონეების მამულებიდამ: კ-ნა ბარბარე ანდრონიკოვისა, ქვრივის პეკელა ანდრონიკოვისა და სხვებისა.

თუმცა წლევანდელი კახური ღვინოები საზოგადოთ ფუჭდება, იმღვრევა, მაგრამ ამ ზემოხსენებულის ბალდოევის სარდაფში მშვენიერი ღვინოები იშოვება.

(2—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ 19 Апрѣля 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი